„რელიგიური პლურალიზმი, ექსტრემიზმი და დემოკრატია:

მონიტორინგი და დებატები“

მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

Caucasus Institute for Peace, Democracy and Development

თბილისი აპრილი-ივნისი, 2017 Newsletter N. 3
წერეთლის გამზირი # 72
ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77
37 ელ-ფოსტა : info@cipdd.org

„17 მაისი“

***

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო „ოჯახის სიწმინდის“ დღის შესახებ

17.05.2017

„ოჯახის სიწმინდის“ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქომ გამოსცა ჟურნალი, სახელწოდებით: „ბედნიერი ოჯახი.“ ჟურნალი სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილ მრევლს საჩუქრად გადაეცა. იმავე დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მრევლს მიმართა:

„უფალი ბრძანებს: ითხოვდეთ და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდეთ და განგეღოთ თქვენ, ჩვენ დღეს შევთხოვთ უფალს, რომ მეოხებითა ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისათა ღმერთმა დალოცოს ჩვენი ოჯახები. ეს არის ოჯახის

დღესასწაული. ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს, რათა მტკიცე იყოს ქართული ოჯახი. მრავალი შვილი აღზარდოს ქართულმა ოჯახმა.“

http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/433098-patriarqi-chven-aghvavlenth-locvebs-ratha-mtkice-iyos-qarthuli-ojakhi-mravali-shvili-aghzardos-qarthulma-ojakhma.html?ar=A

***

სასულიერო პირები „ჰომოფობიასა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს“ აკრიტიკებენ

17.05.2017

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი, მამა დავით ქვლივიძე „ოჯახის სიმტკიცის“ დღეს გამართულ აქციაში მონაწილეობდა და განაცხადა, რომ ის **ადამიანები, რომლებიც ჰომოფობიის წინააღმდეგ აქციას მართავენ, მის რელიგიას შეურაცხყოფენ.** მის მიმართვაში ნათქვამია:

"აი ისინი, დროშებს რომ აფრიალებენ, ცისარტყელას დროშებს, მარტო ეს ცისარტყელას დროშა არის შეურაცხყოფილი, ღმერთმა გარყვნილი, სოდუმური ცოდვის გამო დაუშვა წარღვნა და შერიგების ნიშნად ცაზე ცისარტყელა გააჩინა. ცისარტყელა ეს არის ღმერთის შერიგება ცოდვა-მონანულ კაცობრიობასთან, ამათმა **აიღეს ეს და თავის დროშად გაიხადეს, დაგვცინიან, რელიგიური შეურაცხყოფაა, არამარტო ქრისტიანების, ყველასი".**

https://on.ge/story/10777-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

***

„ოჯახის სიწმინდის დაცვის“ დღე

17.05.2017

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელ დათუაშვილი ე.წ. ოჯახის სიწმინდის დღესასწაულის შესახებ აღნიშნავს, რომ ამ დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საქართველოსთვის ასევე მთელი მსოფლიოსთვის.

„ბიბლიური სწავლების მიხედვით, ღმერთმა შექმნა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად და უთხრა მათ, რომ ყოფილიყვნენ ერთნი, ერთ სულ და ერთ ხორც. არ გაშორებოდნენ ერთმანეთს, გამრავლებულიყვნენ და აღეზარდათ შვილები სიყვარულით. ამიტომ სიყვარულს ადამიანი სწავლობს ოჯახში. მეუღლეთა შორის სიყვარული არის საფუძველი თავად ცოლ-ქმრის ბედნიერებისა და ეს არის საშუალება იმისა, რომ აღიზარდოს და ჩამოყალიბდეს ჯანსაღი პიროვნება. პიროვნება, რომელიც ხედავს ოჯახში სიყვარულის მაგალითებს, თავად იზრდება ჯანსაღ პიროვნებად და თავად არის სიყვარულის აღმსრულებელი და მსახური.“ მიტროპოლიტ დანიელი აღნიშნავს, რომ ძლიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოს საფუძველია.

http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/433031-mitropoliti-danieli-ojakhis-sitsmindis-dghesastsauls-udidesi-mnishvneloba-aqvs-chveni-qveynisthvis-da-saerthod-mtheli-msofliosthvis.html?ar=A

***

პატრიარქი ოჯახური იერარქიის შესახებ

17.05.2017

ჟურნალში “ბედნიერი ოჯახი” დაიბეჭდა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინასიტყვაობა. მასში ნათქვამია, რომ **ოჯახში უფროს-უმცროსობა უნდა იყოს დაცული და მისი თავი იყოს ქმარი,** როგორც ამას უფალი ბრძანებს.

http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/433107-ilia-meore-ojakhshi-ierarqia-ufros-umcrosoba-unda-iyos-daculi-da-misi-thavi-unda-iyos-qmari-rogorc-amas-ufali-brdzanebs.html?ar=A

***

დეკანოზი თამაზ ლომიძე ოჯახის სიწმინდესთან დაკავშირებული მსვლელობის შესახებ

17.05.2017

„მსვლელობები და მარშები არ ჭირდება ოჯახის სიწმინდეს, ამათთვის შრომა და დახმარებაა საჭირო". - წერს დეკანოზი თამაზ ლომიძე და ფეისბუქის საკუთარ გვერდზე პოსტში - "სა-17-მაისოდ" - იმავე წერილში დეკანოზი ჭიათურელი მუშის **ვიდეოს აზიარებას, სადაც მუშა მისი და მის თანამშრომლების გაუსაძლის ყოფაზე საუბრობს:**

"ოჯახის დღე თუ აღინიშნება, უნდა აღინიშნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ

გრანდიოზული საქველმოქმედო აქციებით ოჯახების დასახმარებლად ყველა სოფელში თუ დაბაში, ქალაქსა თუ რაიონში და ამის ორგანიზებას სახელმწიფოსთან ერთად პირველ რიგში ეკლესია უნდა აკეთებდეს. კარგი, ჩავიარეთ დღეს რუსთაველზე ხატებით, დროშებით და პარაკლისებით. შემდეგ? ხვალ რა ეშველება ამ გატანჯული კაცის ოჯახს? ემახსოვრება ის და მისი ოჯახი ვინმეს? ბოლომდე მოუსმინეთ, რას ამბობს ოჯახზე.
ევროპაში ოჯახის დღეები ჰქვია დღეებს, როცა გრანდიოზული ფასდაკლებები და შეღავათები ცხადდება სხვადასხვა პროდუქტებზე თუ სხვა მომსახურებაზე ოჯახებისთვის.“

http://liberali.ge/news/view/29386/dekanozi-tamaz-lomidze-msvlelobebi-da-marshebi-ar-chirdeba-ojakhis-sitsmindes

***

სასულიერო პირების პროტესტი ფილმ „პრაიდის“ წინააღმდეგ

19.05.2017

ფესტივალ Cine-Doc Tbilisi-ს ფარგლებში, „მზიურში“ „პრაიდის“ ჩვენება გაიმართა, რასაც მრევლისა და სასულიერო პირების მხრიდან პროტესტი მოჰყვა. როგორც სასულიერო პირები აცხადებენ, ფილმი მამათმავლობის პროპაგანდაზეა და მათთვის გარყვნილების ქადაგება მიუღებლია. ”დაუშვებელია ბავშვთა ცენტრის ტერიტორიაზე ასეთი ფილმის ჩვენება”, - აცხადებდნენ „მზიურთან“ მყოფი სასულიერო პირები.

http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/433608-mziurthan-sasuliero-pirebi-filmis-praidi-chvenebas-aprotesteben.html?ar=A

მონარქია

***

პატრიარქი კონსტიტუციური მონარქიის შესახებ

18.06.2017

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე საკვირაო ქადაგებაში მონარქიის შესახებ საუბრობს. პატრიარქი აცხადებს, რომ **კონსტიტუციურ მონარქიას ქვეყანაში სიმშვიდე შემოაქვს.** მისი აზრით ქართველმა ხალხმა უნდა გაანალიზოს წარსული და

მომავალი. „საქართველო უძველელის ქვეყნაა უძველესი კულტურით. იქნებ გვეფიქრა ჩვენ იმაზე, რომ საქართველო არის უძველესი მონარქია. **ღვთის წყალობით მეფე გვამრთავდა.“**

პატრიარქის თქმით, დღეს ხშირი შემთხვევაა, როდესაც ეკლესიას აკრიტიკებენ და მისივე აზრით მოსახლეობას ამის არ უნდა შეეშინდეს, „რადგან ეკლესიას გაცილებით რთული პერიოდი გამოუვლია, ყველაფერი კარგად იქნება, მომავლის იმედით უნდა ვიყოთ.“

http://patriarchate.ge/geo/ka/

***

მონარქიის კრიტიკა - დეკანოზი ილია ჭიღლაძე

23.06.2017

დეკანოზ ილია ჭიღლაძეს აზრით, კონსტიტუციური მონარქია გულისხმობს ფიქტიურ მეფეს, რომელიც არ მართვას ხელისუფლებას, ბუტაფორიაა, შესაბამისად არ დგას მისი საჭიროება. აბსოლუტურ მონარქიას დიქტატურას ადარებს, რისი ადგილიც 21-ე საუკუნეში არ არის.

„სწორედ ეს ვერ გამოვიმუშავეთ ქართველებმა და თვალებდათხრილივით მიმოვედებით ყველაფერს, კონსტიტუციას რამის ყოველ წელს ვცვლით: ხან საპრეზიდენტო ქვეყანა ვართ, ხან ნახევრად საპრეზიდენტო, ხან პარლამენტური, ხან მონარქისტობას ვთამაშობთ. გვეყო ამდენი თამაში... საცოდავი ჩვენი ხალხი, გაჭირვებული, უყველაფრო, უსამსახურო, რა დროს მეფობანაა?! კიდევ ერთი პომპეზური, ფუფუნების და ნეპოტიზმის ინსტიტუცია მოვიგონოთ რისთვის, ეს რას მისცემს ხალხს?! ეს უბრალო, გაჭირებულ გზადაბნეულ ხალხს რას უშველის? მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების დაბრკოლების ახალი მიზეზი, ქილიკის და დაცინვის ახალი მიზეზი, ამასობაში ქვეყნის დაცლა ქართველებისგან გრძელდება, რომელნიც სამშობლოში დღეს უცხოდ და დაუცველად გრძნობენ თავს...“

http://www.tabula.ge/ge/verbatim/121251-mama-ilia-xalxi-gachirvebuli-ukvelafro-da-usamsaxuroa-ra-dros-mefobanaa

***

არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი კონსტიტუციური მონარქიის შესახებ

18.06.2017

არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი კონსტიტუციური მონარქიის შესახებ სოციალურ ქსელში წერს:

„რუსეთის იმპერიამ ორი საუკუნის განმავლობაში მიიტაცა ჩვენი სამშობლო. დაიმონა, დაჩაგრა და სიცოცხლე მოუსპო საქართველოში მცხოვრებ მილიონობით გლეხს თუ დუდებულს. მიიტაცა დედა ეკლესია. წაგვართვა იმის უფლება რომ გვყოლოდა ერის მამები პატრიარქები და მათ ნაცვლად ეგზარხოსები დანიშნა. წაგვართვა მირონცხებულ მეფეთა ინსტიტუტი რომლის გადაგდება თუ გაუქმება ქართველ კაცს აზრადაც არასდროს მოსვლია. პირიქით მათ სახელს ფიცულობდა ერი.
ახლა როდესაც ქვეყანა დავიბრუნეთ და დამოუკიდებელი გვქვია. დავიბრუნეთ ეკლესია და პატრიარქობის ინსტიტუტი. დავიბრუნეთ ენა რომელიც კინაღამ გაგვიუქმეს. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს რომ დავიბრუნოთ ბაგრატიონთა ტახტიც რომელიც ასევე წაგვართვეს და გაგვინადგურეს. შემდეგ კი თავად ერმა გადავწყვიტოთ გვინდა თუ არა მომავალში კონსტიტუციური მონარქია.
როგორც იოანეს სახარებაში გვიწერია თანამედროვე ქართულით რომ ვთქვათ ნუ იქნებით მიკერძოებულნი არამედ იყავით სამართლიანნი..
ეს არის ჩემი აზრი კონსტიტუციური მონარქიის შესახებ.“
დეკანოზი ასევე აღნიშნავს, რომ აზრს გამოხატავს როგორც რიგითი მოქალაქე და არ აქვს ილუზია, თითქოს მისი აზრი მონაწილეობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში.

რუსეთი, ოკუპირებული ტერიტორიები

რუსეთის ყოფილი მერის, იური ლუჟკოვის ვიზიტი

10.05.2017

მამა ილია ჭიღლაძის სტატუსს "ფეისბუქზე", სადაც მან ისევ **საქართველოში იური ლუჟკოვის** ჩამოსვლა გააკრიტკიკა ქანდის ეკლესიის წინამძღვარი მამა სერაფიმე გამოეხმაურა, რომელმაც "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის არაერთგზის დამრღვევი მოსკოვის ყოფილი მერი მიიღო. სასულიერო პირებმა წერილობით და კონსტრუქციულად იკამათეს. მამა ილიამ თავის მხრივ განაცხადა:

"მე პირადად არ შევხვდებოდი მას(ლუჟკოვს). ტაძარში შეიძლება შემომეშვა (თუმცა არ შეშვებაც არის მაგალითებად წმ. მამათა ცხოვრებაში) მაგრამ არ ვისაუბრებდი მეგობრულად მასთან და ფოტოებს არ გადავიღებდი. ხოლო თუ ვისაუბრებდი, ვამხელდი მას და მის პატრონებს ანტიქართული ქმედებების გამო."

"სამწუხაროდ, ხშირად მტერი მოქმდებს ძალიან დახვეწილი ინსტრუმენტებით, მათ შორის ცდილობს გამოიყენოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელი. ეს კარგად გამოჩნდა ლუჟკოვის "სტუმრობისას" - ეკლესიების მოლოცვის ნიღაბს ამოფარებულმა, ვერ შეიკავა თავი იმპერიალისტური ზრახვებისგან და "დაგვმოძღვრა" კიდევაც (აფხაზეთი და "სამხრეთ ოსეთი" ცალკე ქვეყნებიაო). აი, ასეთი ვერაგი მტერი არ მოერიდა ჩვენს ეკლესიებს და ურცხვად შევიდა იქ, ურცხვად გადაიწერა პირჯვარი, ჩვენი ეკლესიის ორ მღვდელსაც ურცხვადვე გადაეხვია და სურათებიც გაიღო. აი ასე მოდის მტერი, ამ იარაღით, **ადამიანის რწმენაზე მანუპულირებით** და ვაი მას ვინც ამ ხაფანგში ებმევა და მისი იარაღი ხდება:ვერ უშველის ვიშვიში და კივილი, არიქა მდევნიანო, ზოგჯერ ბრმაა ადამიანთა ნაწილი, მაგრამ არა ყველა ადამიანი."

http://allmedia.ge/socialuri-media/item/6920-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A5-%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1

***

არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის ვიზიტის შესახებ

24.06.2017

არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი აფასებს მოსკოვის ყოფილი მერის,- იური ლუჟკოვის, საქართველოში ვიზიტსა და სასულიერო პირების მიერ მისი მიღების ფაქტს:

„მამა ბასილს(შაყულაშვილი) **ათასი სირცხვილი. ანაფორაში წაგრაგნა ვერ ფარავს ზრახვებს. როგორი სიყვარულით ხვდება ღრუსს - იმას, ვინც შვილები, ძმები, დები დაუხოცა, ვინც ქვეყანა დაუნაწევრა. „**

ის მწუხარებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ასეთ პატარა ქვეყანას ამდენი მოღალატე ჰყავს და მიმართავს მამა ბასილს, რომ ის საკუთარ ერს ღალატობს, რის გამოც უმკაცრეს საყვედურს უცხადებს.

http://www.tabula.ge/ge/verbatim/119979-arqimandriti-demetre-luzhkovis-mighebaze-am-patara-ers-ramdeni-moghalate-hkavs

***

დეკანოზი თამაზ ლომიძე რუსეთის შესახებ

8.05.2016

დეკანოზი თამაზ ლომიძე იური ლუჟკოვის ვიზიტს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე აფასებს: **„აი, თავხედი რუსი. დღეს გვეუბნება ამას "სტუმრად" მყოფი ქართულ მიწაზე: "აფხაზეთი სხვა ქვეყანაა, ეს სულ სხვა ხალხია. ასეა ოსეთიც.** ....ვფიქრობ, საქართველო, ამ რეგიონების ჩამოშორების შემდეგ, მომავალში უკეთ იგრძნობს თავს." **თუ მთავრობა არსებობს და კანონი კანონობს საქართველოში, გააძევეთ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ და სამაგალითოდ.“**

***

თამაზ ლომიძე რუსეთის ტერიტორიაზე გამართული კონცერტების შესახებ სოციალურ ქსელში წერს:
„ნებისმიერი საწინააღმდეგო არგუმენტი ამ საკითხზე არის ან მოღალატეობა ან მოქალაქეობრივი სიბრიყვე ან თვალებში უსინდისოდ ნაცრის შეყრა. **კრემლში, საიდანაც იძლევა ბრძანებები, რომ დაებომბათ თბილისი, გორი, რატომ უნდა ჩახვიდე იქ და დაიხარჯო?"**

ქართულ-რუსული კინოკვირეული ქუთაისში

30.04.2017

კვირეულის მიზანს, როგორც აღმოჩნდა, ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს. საამისოდ ორგანიზაციები ქართული - "ჯარისჯაცის მამის" სახლი და რუსული - М –СТУДИЯ იღწვის. მართლამდიდებლობაზე ილაპარაკა ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა მეუფე კალისტრატემ, რომელმაც გახსნა კვირეული. **"მართლამდიდებლობის გარეშე გადარჩენა არაა. ჩვენ ძმები ვართ ქრისტეში. რთული დროებაა სამყარში. მთელი დედამიწა მიდის ანტიქრისტეს მხარეს. ერთადერთი ხსნა მართლმადიდებლობის მიღებაა",** - აღნიშნა მეუფე კალსიტრატემ.

http://www.kutaisipost.ge/akhali-ambebi/article/7443-qarthul-rusuli-kinokvireuli-meufe-kalistratem-gakhsna-video

სტალინის ფოტო ბაგრატის ტაძარში

16.05.2017

ეკლესიის ავტიკეფალიის აღდგენიდან 100 წლის თავთან დაკავშირებით ბაგრატის ტაძარში მოეწყო ფოტოგამოფენა. გავრცელდა ფოტომასალა, საიდანაც ირკვევა, რომ ტაძარში გამოფენილი სხვადასხვა საეკელსიო მოღვაწეების გვერდით გამოფენილია იოსებ სტალინის ფოტო. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალისთვის კითხვას თუ რამდენად მიზანშეწონილია ტაძარში სტალინის ფოტოს გამოფენა, მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის მდივანი მიქაელ ბოტკოველი პასუხობს:

„შენ მისმენ მე თუ მარტო შენ სვამ კითხვებს? მე უნდა დაგიჯეროთ ახლა თქვენ, რომ სტალინის სურათია ტაძარში? ხომ უნდა გავერკვიო არა?! ცოტა სხვასაც მოსუმინეთ ხოლმე!“

საერთაშორისო ამბები და ეკლესია

საპატრიარქოს განცხადება მანჩესტერში განხორციელებული ტერაქტის შესახებ

24.05.2017
საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ მანჩესტრეში განხორციელებული ტერაქტის გამო სამძიმრის წერილს გაუგზავნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის დედოფალ ელისაბედ II-ს, კენტერბერიის მთავარეპისკოპოსს და პრემიერ-მინისტრს. წერილში საქართველოს ეკლესიის სახელით გამოთქმულია დიდი გულისტკივლი როგორც მანჩესტერში, ისე მსოფლიოში მომხდარი მსგავსი ტრაგიკული მოვლენების გამო.
„ვლოცულობთ, რათა ყოვლადმოწამე ღმერთმა მოგვამდლოს მშვიდობა და დაიფაროს მტელი მსოფლიო მსგავსი შემთხვევებისგან“ - წერს ილია II.
http://patriarchate.ge/geo/katolikos-patriarq-ilia-ii-is/

***

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება საინგილოში განვითარებული მოვლენების შესახებ

15.06.2017
საქართველოს საპატრიარქო გულისტკივილს გამოთქვამს იმ დამოკიდებულების გამო, რაც საინგილოში მდებარე ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმართ განხორციელდა. კერძოდ. აზერბაიჯანული გასართობი კომპანია „arb”-ის ეთერში გავიდა გადაცემა, რომლის ერთ-ერთი სიუჟეტი გადაიღეს ქურმუხის ტაძარში, სადაც საპატრიარქოს განცხადების მიხედვით, ახალგაზრდა მამაკაცი შეუფერებელი მანერით ასრულებს შუბერტის “ავე მარიას“. ეს რიგით მეორე შემთხვევაა, რადგან 2015 წელს ადგილი ჰქონდა მსგავს პრეცენდენტს.

„ქურმუხის ეკლესია უდიდესი მადლისა და ძალის სალოცავია და ეს აღიარებულია, როგორც **მართლმადიდებლების, ისე მუსლიმთა მიერაც. ამიტომაც გაუგებარია და დიდად საწყენი, რომ შეუფერებელი ქმედებები ხდება ამ ტაძარში და მის საკურთხეველში.**
მივმართვათ აზერბაიჯანის ხელისუფალთ და სულიერ ლიდერს, - მის აღმატებულება შეიხ ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადეს, დროულად მოხდეს ფაქტების მოკვლევა და სათანადო ზომების მიღება არსებული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად."
პატრიარქი იმედს გამოთქვამს რომ ქვეყნებსა და რელიგიურ ლიდერებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა მდგომარეობის გამოსწორების წინაპირობა იქნება.
http://patriarchate.ge/geo/saqartvelos-sapatriarqos-gancxadeba-15-06/

ევროპა და ევროკავშირი

***

უვიზო მიმოსვლა

1.05.2016

დეკანოზი თამაზ ლომიძე სოციალურ ქსელში ეხმაურება ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ევროპაში უვიზო მიმოსვლით მოკლე დროში 11 700-მდე მოქალაქემ ისარგებლა: **„ეს თავისუფალი მიმოსვლა ევროპაში ჩვენი ხალხისთვის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, რისთვისაც კი მიუღწევია ქვეყანას უკანასკნელ წლებში. რაც უფრო მეტი საქართველოს მოქალაქე ნახავს თავისი თვალით ევროპას, მით მალე მივხვდებით, რომ დღეს წინსვლა და განვითარება მხოლოდ ევროპასთან თანაცხოვრებითაა შესაძლებელი."**

***

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიება „დასავლური საფრთხეები საქართველოსთვის"
2.06.2017

დეკანოზი თამაზ ლომიძე ფეისბუქ გვერდზე ეხმაურება თსუ-ში გამართულ ღონისძიებას „დასავლური საფრთხეები საქართველოსთვის": **„ლამის ყოველდღე გვაჭრის ქართულ მიწას ნამდვილი მტერი და ესენი შეკრებილან და დასავლურ საფრთხეებზე ლაპარაკობენ,** თან თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტში. აი, **ამიტომ ვერ იხილავს მონობაში გაზრდილი თაობა თავისუფლებას.** თვითონ ხომ არ ესმით და არ უნდათ და მომავალსაც ხელს უშლიან ამ საწამლავით."

ადამიანის უფლებები და ტოლერანტობა

დეკანოზი თამაზ ლომიძე ნარკოპოლიტიკის შესახებ

10.06.2017

დეკანოზი თამაზ ლომიძე ეხმაურება პრემიერის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული კანონმდებლობა ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით ზედმეტად მკაცრია.
„რადგან ევროპულ მიდგომას ახსენებს, უნდა ითქვას: 1) თუ უშუალოდ და კონკრეტულად **ეჭვმიტანილი არ ხარ, წარმოუდგენელია ევროპაში პოლიციამ გაგაჩეროს** და ჯიბეებში ხელები გიფათუროს. აქედან დაიწყეთ. 2) **არაადამიანური სისასტიკე და საკუთარი ხალხის სიძულვილია, როცა ნარკოდამოკიდებულს ან მომხმრებელს კიდევ ციხეში გამოკეტავ.** წლებია ხომ ვუყურებთ, რომ ამას არავითარი სხვა შედეგი არ მოაქვს, ამ ხალხის განადგურების გარდა.“

***

დეკანოზი თამაზ ლომიძე აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გატაცების შესახებ

31.05.2017

დეკანოზი თამაზ ლომიძე აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გატაცების ფაქტს ეხმაურება : **„საკუთარი ქვეყანის ატორიტარული რეჟიმისგან გამოქცეულმა, დევნილმა ჟურნალისტმა უსაფრთხო თავშესაფარი ვერ იპოვა საქართველოში. შუა ქალაქიდან მოიტაცეს და უპასპორტოდ ჩაიყვანეს ისევ თავის ქვეყანაში. უდიდესი სირცხვილია საქართველოსთვის.“**

***

ტყიბულში შახტაში დაღუპული ოთხი მუშის შესახებ

10.05.2017

დეკანოზი ილია ჭიღლაძე ფეისბუქ გვერდზე ტყიბულში განვითარებულ მოვლენების შეასახებ საკიუთარ აზრს სოციალურ ქსელში აქვეყნებს: „საგანგაშოა ტყიბულის სამთომადნის წარმოება, რომელიც სასაკლაო ადგილადაა ქცეული. მე არ მგონია თანამედროვე სტანდარტებით მოქმედ უცხოეთის ანალოგიურ სამრწველო ობიექტებზე ასეთი მასშტაბის მსხვრეპლი იყოს სადმე, რაც ტყიბულში ხდება რამის ყოველ წელს.“

***

ფემიციდი

4.05.2017

დეკანოზი ილია ჭიღლაძე ფეისბუქ გვერდზე წერს სტატისტიკაზე, რომლის მიხედვითაც საქართველოში ქმრის მიერ 40-მდე ქალია მოკლული. ის ასევე აღნიშნავს: „ეს არის ძალიან დიდი განგაშის საფუძველი. **რა შეუძლია გააკეთოს ეკლესიას და სამღვდელოებას მოწოდების და ქადაგების მეტი?!** ისედაც ყველამ იცის, რომ ძალადობა, მით უფრო მკვლელობა არის უძიმესი, მომაკვდინებელი ცოდვა. **გამოსვალი არის საზოგადოების აქტივობაში:** მეზობლებმა, ნათესავებმა, ახლობლებმა, რომლებაც იციან ოჯახური ძალადობის ქრონიკული შემთხვევები, რაიმე უნდა იღონონ პრევენციისათვის, სხვა გამოსავალი არ **არსებობს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს და მისი პოლიციის ვალია, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა იყოს კონტროლზე აყვანილი,** თუ საჭიროება მოითხოვს, მდგომარეობა საგანგაშოა, აუცლებელია ძალოდობის მსხვერპლთა განრიდება მჩაგვრელისგან, მაგრამ ვიმეორებ: ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ახლობლის ჩართულობა, კიდევ უფრო **მნიშვნელოვანია თავად ძალადობის მსხვერპლი ქალების პოზიცია თავის დაცვისათვის. ეკლესია არ ქადაგებს იძულებით ოჯახურ თანაცხოვრებას,** სახარება ყოველგვარ ძალადობას მიიჩნევს დაუშვებლად...“

***

დეკანოზი ანდრია კემულარია გენდერული თანასწორობის შესახებ

8.06.2017

დეკანოზი ანდრია კემულარია აზიარებს ინფორმაციას შემდეგი სათაურით **„გენდერული თანასწორობა ანუ გარყვნილების 56 სახე“** და ამ დისკუსიაში ამბობს: „გენდერული თანასწორობა ხშირად გვერევა ქალისა და კაცის თანასწორობაში. სინამდვილეში კი „გენდერის თეორიის თანახმად: ნებისმიერი სექსუალური ორიენტაცია ნორმალურია; ბიოლოგიური სქესი არარელევანტურია (შეუსაბამოა) ფსიქოლოგიური და სოციალური სქესისა, ქორწინება შეიძლება შედგეს ორ კაცსა და/ან ორ ქალს შორის და ბავშვებს დედა და მამა კი არ სჭირდებათ, არამედ მშობელი N1 და მშობელი N2…“

ის სხვადასხავ დრო ამ თემას ეხმიანებ სოციალურ ქსელში და წერს: „თავის მოტყუება იქნება იმის თქმა, რომ წამყვანი მედიასაშუალებები ობიექტურები და თავისუფლები არიან. როგორადაც არ უნდა ვატრიალოთ, აშკარაა, რომ მედია ერთ, **სამწუხაროდ ყველაზე მანკიერ მხარეს ექომაგება საზოგადოებრივი ცხოვრებისა.“** (იგულისხმება **ლგბტ თემი**)

***

დეკანოზი თამაზ ლომიძე საკუთარ ფეისბუქ გვერდზე კონსტიტუციით ქორწინების რეგულაციის შესახებ

10.04.2017

„კონსტიტუციით ქორწინების რეგულაციის გამო ქრისტიანების პანიკური შიში, გადაუჭრელი პრობლემები და სრულიად პასუხგაუცემელი კითხვები ჩნდება

მხოლოდ მაშინ, როცა ისინი იწყებენ მცდელობას, ქრისტეს წმინდა მოძღვრება ამქვეყნიურ სახელმწიფოს შეუთავსონ.

ნუთუ ვერ უნდა მივხვდეთ, რომ ეს სრულიად შეუძლებელია და არც მოხდება არასოდეს?!

როგორც კი გავიაზრებთ და შევეგუებით, რომ მისი მეუფება "არ არის ამქვეყნიური", პასუხსაც ვიპოვით ყველა შიშზე, კითხვასა თუ პრობლემაზე. ამ მცნებაში დევს მთავარი გასაღები.“

დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი

დეკანოზი ილია ჭიღლაძე დამოუკიდებლობის დღის შესახებ

26.05.2016

დეკანოზი მრევლს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს:

„გილოცავთ ჩვენი მრავალტანჯული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს! ეს დღე **სიმბოლოა საქართველოს გამარჯვებისა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე, ჩვენი ერის 200 წლოვანი რუსული ჩექმის მონობიდან გათავისუფლებისა!** გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ერთიან და ძლიერ საქართველოს!“

***

დეკანოზი თამაზ ლომიძე - დამოუკიდებლობის დღე
26.05.2017

„როგორც აღდგომა აღინიშნება სარწმუნოებაში, ისევე უნდა აღინიშნებოდეს 26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საერო დღესასწაულებს შორის. ისე ღრმად, გააზრებულად, ყოვლისმომცველად და საყოველთოდ უნდა ვდღესასწაულობდეთ ამ დღეს, ისე ღრმად **უნდა აღიბეჭდოს მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით ახალგარდების და ბავშვების გონებაში, რომ ვერავინ, ვერასდროს ვეღარ შეძლოს საქართველოს თავისუფლების ხელყოფა და მისი ღალატი.** ეს ძალიან მნიშვნელოვანია! ღმერთმა დალოცოს საქართველოს თავისუფლება!“

ეკლესია, კანონმდებლობა, ნაციონალიზმი

საქართველოს პატრიარქი მიწების გასხვისების შესახებ

14.06.2017

სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს გვარის წინანძღოლთა დარბაზის სხდომა გაიმართა. სხდომას საპატიო სტუმრის სტატუსით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ესტუმრა. მან **ძირითადი ყურადღება მიწების გასხვისების საკითხზე გაამახვილა და განაცხადა, რომ არსებობს ისეთი ფასეულობები, რომლის გაყიდვაც დაუშვებელია და არავის უნდა ჰქონდეს უფლება გაასხვისოს ქართული მიწები, მათ შორის: მეფეს, პრეზიდენტს თუ პატრიარქს.**

http://bfm.ge/?p=29177

***

16.05.2017

დეკანოზი ანდრია კემულარია სოციალურ ქსელში მიწების გასხვისების საკითხს ეხმაურება:

„გაღატაკებულ ქვეყანაში, რომელშიც ძნელად მოიძებნება ბანკების მარწუხებისაგან თავისუფალი ოჯახი, მიწის უცხოელებზე გაყიდვის დაშვება ქვეყნისა და მისი მომავლის ღალატია. კარგს ვერაფერს მოგვიტან ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქართულ ინტერესებზე მაღლა კორპორაციებისა და უცხოელი „მეგობრების“ ინტერესებს აყენებს.“

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

კონტაქტი: თბილისი წერეთლის გამზირი # 72, ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37 ელ-ფოსტა : info@cipdd.org

პროექტი ხორციელდება *დემოკრატიის მხარდაჭერის ერონული ფონდის* (NED) მხარდაჭერით